პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2023 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული

„სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტის“ განხორციელების წესის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 1 მაისის N14 დადგენილება. (ვებგვერდი, 03/05/2019, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016394)

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი (შემდგომში – „წესი“) წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული საბიუჯეტო პროგრამული კოდის (02.05.) განხორციელების ძირითად საფუძველს და მარეგულირებელ აქტს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. „სამოქალაქო ბიუჯეტი” - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესაძლებლობას, ამ წესით დაგეგმონ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაწილი.

2. ელექტრონული სისტემა – კრაუდფანდინგის პრინციპზე დაფუძნებული ვებგვერდი, რომლის მისამართია: http://votes.oz.gov.ge

3. საპროექტო განაცხადი – ელექტრონული სისტემის მეშვეობით ამ წესებისა და პირობების შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან საზოგადოებრივი შინაარსის პროექტის დაფინანსების მოთხოვნა;

4. ინიციატორი-„სამოქალაქო ბიუჯეტი”-ს პროექტის წარდგენის უფლებამოსილი პირი.

5. ადმინისტრატორი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურე(ები) ან/და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ა.(ა).ი.პ.-ს თანამშრომლები, რომელიც/რომლებიც პასუხისმგებელია/პასუხისმგებელნი არიან „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროექტების ადმინისტრირებისა და მართვის პროცესების წარმართვაზე ამ წესებისა და პირობების შესაბამისად;

6. მომხმარებელი – პროექტისათვის ხმის მიცემის მსურველი, ამ წესით დადგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ ადმინისტრაციულ ერთეულების საზღვრებში რეგისტრირებული პირი, სადაც ხორციელდება პროგრამა.

7. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭო – პროექტის „სამოქალაქო ბიუჯეტი-ს“ განვითარებისა და მართვისათვის შექმნილი ორგანო.

8. ვაუჩერი - სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიშზე დარიცხული მატერიალიზებული და შეფასებული ვალდებულება, რომელიც მომხმარებელს ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ის ამ წესით გათვალისწინებული პროექტების დასაფინანსებლად.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების საზღვრები

1. პროგრამა ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებში:

ა) ქალაქი ოზურგეთი;

2. პროგრამაში ჩართვის ინიციირება შესაძლებელია კანონმდებლობით გათვალისწინებული, ამ მიზნით მოწვეული დასახლების საერთო კრების მეშვეობით.

3. ადმინისტრაციული ერთეულის პროგრამაში ჩართვა გამოიწვევს აღნიშნული ტერიტორიის ფარგლებში არსებული სხვა მსგავსი, თანამონაწილეობის პრინციპებზე დაფუძნებული, ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული პროგრამების გაუქმებას.

მუხლი 4. დასაფინანსებელი პროექტის წარდგენა და ადმინისტრირება

1. საპროექტო განაცხადის წარდგენა (რეგისტრაცია) ხდება ელექტრონული წესით, ამისთვის სპეციალურად შექმნილი მართვისა და ადმინისტრირების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ელექტრონული მისამართია http://votes.oz.gov.ge

2. საპროექტო განაცხადის წარდგენის უფლებამოსილება აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ერთეულში (ერთეულებში) რეგისტრირებულ:

ა) სრულწლოვან პირს;

ბ) პირთა ჯგუფს;

გ) არასამეწარმეო სახის საზოგადოებრივ გაერთიანებას.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჯგუფი ან საზოგადოებრივი გაერთიანება პროექტს წარადგენს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

4. პროექტი უნდა შეიცავდეს:

ა) წარმდგენის ან/და უფლებამოსილი პირის დასახელებას ან/და სახელს, გვარს, პირად, ნომერს, იურიდიული მისამართს, ელექტრონულ ფოსტის მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს;

ბ) პროექტის მოკლე აღწერა სავარაუდო მოცულობის ან განზომილების მითითებით.

5. განხილვას ექვემდებარება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ხასიათის პროექტი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ წესს.

6. დაუშვებელია შემდეგი შინაარსის პროექტების განხილვა:

ა) შეიცავს უცენზურო ან სახუმარო მასალას;

ბ) შეეხება ერთი ან რამდენიმე პირის პირად ინტერესს;

გ) პროექტის დაფინანსება წარმოადგენს სხვა უწყების კომპეტენციას.

დ) წარმოადგენს სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე დავის საგანს ან კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი საკითხის რეგულირების პროცედურა, რომელიც გამორიცხავს პროექტის განხორციელებას.

7. რეგისტრირებული პროექტი გადის შემდეგ პროცედურებს:

ა) ამ წესთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განიხილება ელექტრონული სისტემისა და პროექტის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

ბ) თუ ადმინისტრატორის მიერ ვერ მოხდა შესაბამისობის დადგენა, პროექტი განსახილველად გადაეცემა საბჭოს. საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობით.

გ) გამოქვეყნდება ხმის მიცემის პროცედურებში მონაწილეობის მიღების მიზნით;

8. ხმის უფლება აქვს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ერთეულში (ერთეულებში) რეგისტრირებულ სრულწლოვან ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს;

9. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს პროგრამის განხორციელება ხდება ეტაპებად, რომლის მიმდევრობისა და ვადების დადგენა ხდება მერის გადაწყვეტილების შესაბამისად. ერთი ეტაპი არ შეიძლება გაგრძელდეს 1 საბიუჯეტო წელზე მეტი ხნის განმავლობაში

მუხლი 5. დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა

1. პროექტის ფარგლებში სისტემაში რეგისტრირებული მომხმარებლების ანგარიშზე ყოველი ეტაპის დასაწყისისას ირიცხება ვაუჩერი, რომელიც ამავე დროს შეადგენს ერთი სრული ხმის დადგენილ ფასს. მომხმარებლების მიერ ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მიმდინარე ეტაპის განმავლობაში.

2. ხმის მიცემის შედეგად ხმის დადგენილი ფასით ხდება პროექტის ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ღირებულების შესაბამისი თანხის შეგროვება.

3. პროექტები, რომლებიც შეძლებენ ხარჯთაღრიცხვის შესაბამისი თანხის შეგროვებას დაფინანსდება თანმიმდევრობით, რიგითობისა და პროგრამის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხის გათვალისწინებით.

4. ვაუჩერის ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია ყველა ის პროექტი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ წესით დადგენილ პირობებს ასახოს პროექტის გამარჯვების მომენტისათვის მიმდინარე ან მომავალი პირველი წლის დასაგეგმ ბიუჯეტში და შეასრულოს სტანდარტული პროცედურების გამოყენებით.

მუხლი 6. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭო

1. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება 5 წევრით, საიდანაც თითო წევრს წარადგენს მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე, ხოლო დანარჩენ სამ წევრი შერჩევა განხორციელდება სამოქალაქო სექტორიდან.

2. „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს საბჭოს შემადგენლობას ან/და ცალკეული წევრის უფლებამოსილებას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.

3. თავისი შემადგენლობიდან საბჭო ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარის არჩევა, ასევე გადარჩევა ხდება საბჭოს სიითი შემადგებლობის უმრავლესობის მიერ.

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის კურატორი მოადგილე;

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი;

ა.ბ) პროექტი ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს განხორციელების წესსა და პირობებს.

ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2023 წლის ---------- .